სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

03 აპრილი, 2024 წელი

წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო ს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N07-01/30

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის საქმიანობის 2023 წლის ანგარიშის დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–10 მუხლის, ,,ბსუ-ს ბიუჯეტის შედგენის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 24 დეკემბრის N07-01/59 გადაწყვეტილების, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათის (N356921, 26.03.2024), ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 03 აპრილის სხდომის №07-02/04 ოქმისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს წინამდებარე გადაწყვეტილების **N1 დანართის** სახით საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის **ადმინისტრაციის ხელმძღვანელის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში** (მათ შორის ბსუ-ს 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში (N2 დანართი)).
2. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს და სტრუქტურულ ერთეულებს.
4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,
პროფესორი **ჯემალ კარალიძე**

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის
03 აპრილის N07-01/30 გადაწყვეტილების
N1 დანართი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის საქმიანობის
2023 წლის ანგარიში

შესავალი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში „ბსუ“ ან „უნივერსიტეტი“) საქართველოს ერთ-ერთი ლიდერი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომლის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნება, ჩამოყალიბდეს ძლიერ საგანმანათლებლო-კვლევით ცენტრად და მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს ეროვნულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში.

ბსუ თავის საქმიანობას წარმართავს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული **მისიისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის** შესაბამისად.

2018-2024 წლების სტრატეგიული განვითარებით გეგმით განსაზღვრულია უნივერსიტეტის საქმიანობის **8 პრიორიტეტული მიმართულება,** კერძოდ:

1. უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი სოციალური როლი უნდა შეასრულოს რეგიონისა და ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში;
2. უნივერსიტეტში მიღებული განათლება უნდა იყოს თანამედროვე სტანდარტების, მაღალი აკადემიური ხარისხის და დასაქმებაზე ორიენტირებული;
3. უნივერსიტეტში განხორციელებული კვლევა უნდა იყოს ღირებული, ფუნდამენტური და პრაქტიკული მნიშვნელობის;
4. ინტერნაციონალიზაცია უნდა მოიცავდეს სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესებს;
5. დამსაქმებელს, სტუდენტს, პროფესორ-მასწავლებელსა და მკვლევარს შორის ურთიერთობა უნდა ეფუძნებოდეს ერთმანეთის მხარდაჭერას, ინფორმაციის გაცვლასა და გამოცდილების გაზიარებას;
6. უნივერსიტეტს უნდა ჰყავდეს სტრატეგიული პარტნიორები, როგორც აკადემიურ, ისე სხვა სფეროებში;
7. უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა უნდა ვითარდებოდეს სწავლის, სწავლების, კვლევისა და სტუდენტური ცხოვრების მოთხოვნების შესაბამისად;
8. აკადემიური და ადმინისტრაციული მართვის პროცესები უნდა იყოს კარგად ორგანიზებული და ეფექტური.

ბსუ-ს მისიით და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესრულებისათვის მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის საბიუჯეტო პროცესი, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის მომზადების, დაგეგმვის, დამტკიცების, შესრულების და ანგარიშგების ერთიან პროცესს. უნივერსიტეტის წლიური ბიუჯეტი არის მთავარი ფინანსური დოკუმენტი. უნივერსიტეტის საბიუჯეტო პროცესი წარიმართება საქართველოს კანონმდებლობის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ბსუ-ს წესდების შესაბამისად, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით (№07-01/59, 24.12.2021წ.) დამტკიცებული **„ბიუჯეტის შედგენის წესის“** თანხმად.

ბსუ-ს 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტი და სახელმწიფო შესყიდვების გეგმა

ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმით (2018-2024 წლები) განსაზღვრული მიზნების მისაღწევად აუცილებელია ფინანსური რესურსები, რომელთა შედეგზე ორიენტირებული ხარჯვა გარკვეულწილად დამოკიდებულია ორგანიზაციის ბიუჯეტის პროგრამული პრინციპით დაგეგმვაზე, რომელიც ბსუ-ში ხორციელდება 2022 წლიდან.
ბსუ-ს 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტი დამტკიცდა ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 23 დეკემბრის N07-01/57 გადაწყვეტილებით. ბსუ-ს 2023 წლის ბიუჯეტის დაგეგმვა განხორციელდა პროგრამული ბიუჯეტის პრინციპით, ბიუჯეტის დაგეგმარების პროცესში ჩართული იყო უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეული, კერძოდ: ფაკულტეტები, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები (შემდეგში - კვლევითი ინსტიტუტები), პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი (შემდეგში - პროფესიული ცენტრი) და ბსუ-ს ადმინისტრაციის სხვა სტრუქტურული ერთეულები, რომლებსაც საშუალება ჰქონდათ წარმოედგინათ საბიუჯეტო განაცხადები, საჭიროებების შესაბამისად.
ბსუ-ს სტრუქტურული ერთეულიდან წარმოდგენილი საბიუჯეტო განაცხადების გადამუშავების შედეგად, ბსუ-ს 2023 წლის ბიუჯეტში ასახულ იქნა:

- ღონისძიებათა დაგეგმვა პრიორიტეტულ ჭრილში;
- ღონისძიებების/ხარჯების განხორციელების პასუხისმგებლობის გადანაწილება ფაკულტეტებს, კვლევით ინსტიტუტებსა და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს შორის;
- ხარჯების დაგეგმვა ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმასთან შესაბამისობაში;
- პროგრამების/ქვეპროგრამების დაგეგმვა, დაფინანსების წყაროების მიხედვით;
- გამჭვირვალობის, ყოვლისმომცველობისა და დამოუკიდებლობის პრინციპების რეალიზება.

ყველა რგოლის მიერ წარმოდგენილი საბიუჯეტო განაცხადის ანალიზის, ურთიერთშეჯერების, კონსოლიდაციის, კლასიფიცირების საფუძველზე, 2022 წლის პროგრამული ბიუჯეტის მსგავსად **გამოიკვეთა ოთხი ძირითადი პროგრამა** (გამომდინარე ბსუ-ს 2018-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმიდან):

- ✓ **ბსუ-ს ფაკულტეტების, კვლევითი ინსტიტუტებისა და პროფესიული ცენტრის მხარდაჭერა;**
- ✓ **უნივერსიტეტის მართვა და რეგულირება;**
- ✓ **უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურული განვითარება;**
- ✓ **ბსუ-ს სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერა.**

ბსუ-ს 2023 წლის ბიუჯეტში (დამტკიცებული ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 23 დეკემბრის N07-01/57 გადაწყვეტილებით) საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის საჭიროებიდან გამომდინარე შევიდა ცვლილებები ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებებით და წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით (ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებებით: 18.01.2023 წლის №01-10/05; 07.02.23 წ, N01-10/11; 24.02.23 წ., №01-10/22; 24.03.23 წ., №01-10/45; 27.04.23 წ., №01-10/58; 15.05.23წ., №01-10/62; 05.06.23წ., №01-10/68; 30.06.23წ., №01-10/81; 01.08.23წ., №01-10/91;

01.09.23წ., №01-10/100; 18.10.23წ., №01-10/117; 06.11.23წ., №01-10/125; 11.12.23წ., №01-10/138. ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 10 აგვისტოს N07-01/33 გადაწყვეტილებით).

პროგრამულად დაგეგმილი 2023 წლის ბიუჯეტის საფუძველზე განხორციელდა ბსუ-ს 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შედგენა, რომლის ფარგლებშიც მოხდა ყველა პროგრამითა და ქვეპროგრამით დაგეგმილი ხარჯების/ღონისძიებების კონსოლიდაცია. შესყიდვის საშუალებები დაჯგუფდა დაფინანსების ოთხი წყაროს (საკუთარი შემოსავლები, აჭარის ა.რ. რესპუბლიკური ბიუჯეტი, საკუთარი ბიუჯეტი და გრანტები) მიხედვით, რაც შესყიდვების გეგმაზომიერ და მოქნილ განხორციელებას უზრუნველყოფს. **ბსუ-ს 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა დამტკიცდა** ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 18 ნოემბრის N01-10/45 ბრძანებით. ბსუ-ს 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა შეიცვალა რამდენჯერმე (ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის N01-10/166 და 2023 წლის განმავლობაში: N01-10/06; N01-10/23; N01-10/59; N01-10/63; N01-10/69; N01-10/71; N01-10/94; N01-10/103; N01-10/110; N01-10/122; N01-10/128; N01-10/139 ბრძანებებით) **ბსუ-ს 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში ცვლილებები** განპირობებული იყო ბსუ-ს 2023 წლის ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებებით და სხვა გარდაუვალი საჭიროებებით.

ბსუ-ს **2023 წლის პროგრამული ბიუჯეტი,** დაფინანსების წყაროებისა და პროგრამების/ქვეპროგრამების ჯამური თანხის გათვალისწინებით შეადგენდა **- 32 932 151 ლარს,** ხოლო სახელმწიფო **შესყიდვების წლიური (2023 წელი**) გეგმა **- 7 704 047 ლარს.**

2023 წელს განხორციელებული მატერიალურ-ტექნიკური, ინფრასტრუქტურული და სხვა სახის ღონისძიებები

ბსუ-ს 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტის ფარგლებში განხორციელდა მნიშვნელოვანი მატერიალურ-ტექნიკური, ინფრასტრუქტურული და სხვა სახის ღონისძიებები.

განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები:

- ბსუ-ს შენობა-ნაგებობებისა და ტერიტორიების სამშენებლო, სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით შესყიდული იქნა 84637,00 ლარის ღირებულების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;
- განხორციელდა ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32-ში არსებული ბსუ-ს კორპუსების ეზოს გამწვანების სამუშაოები (ლანდშაფტური არქიტექტურის სამუშაოები), ჯამური ღირებულებით - 72`554.66 ლარი, რომლის ფარგლებში საერთო ჯამში დაირგო ორ ასეულზე მეტი სხვადასხვა სახეობის ხე-მცენარე და ყვავილის ნერგი, 1000 m^2-ზე მოეწყო მწვანე საფარი (ბუნებრივი კორდი), საბაღე გაზონები. უზრუნველყოფილი იქნა არსებული ხე-მცენარეების გადაბელვა და მათი დამუშავება-შეღებვა სპეციალური ხსნარით;
- სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა და თანამედროვე მოწყობილობებითა და ავეჯით აღიჭურვა მე-2 კორპუსის საპირფარეშოები, ჯამური თანხით - 473`607.27 ლარი. პროექტის ფარგლებში მთლიანად შეიცვალა წყალმომარაგების, კანალიზაციისა და ვენტილაციის არსებული სისტემები;
- სხვადასხვა სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში ჯამურად შესრულდა 534`592.09 ლარის ღირებულების სამუშაოები, რომელიც მოიცავს: პირველი კორპუსის მიმდებარედ ყავის ჯიხურის მოწყობის, საქვაბის შემოსაზღვრის, შოთა რუსთაველის ბიუსტისა და კვარლცხბეკის რეაბილიტაციის, მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაციის, ეზოში განათების სისტემის და ლამპიონების მოწყობის, პირველი, მე-2 და მე-3 კორპუსების მცირე სარემონტო, ელექტრო-სამონტაჟო და წყალსაკანალიზაციო სისტემების მოწყობის სამუშაოებს;
- ბსუ-ს მე-2 და მე-3 კორპუსებში ელ. კარადების მოწყობის, ქ. ქობულეთში ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის VRV სისტემის მოწყობილობისათვის ელ. ძრავის მონტაჟისა და პირველი კორპუსის საქვაბეში გათბობის ქვაბის დამატების სამუშაოებზე ჯამურად დახარჯულია 139`602.69 ლარი;
- რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქ. ბათუმში, ლეონიძის ქ. №15-ში არსებულ სასწავლო კორპუსის ფასადს და სახურავს, გაწეულმა ხარჯმა შეადგინა - 319`998.12 ლარი. ამ დროისათვის სამუშაოები დასრულებულია, მიმდინარეობს შესრულებული სამუშაოს შესაბამისობის დადგენა;

აღსანიშნავია, რომ ქ. ბათუმში, ლეონიძის ქ. N15-ში მდებარე სასწავლო კორპუსის მშენებლობის დროს უხარისხოდ შესრულებული სამშენებლო სამუშაოების გამო ადგილი ჰქონდა შენობის ფასადის დაზიანებისა და სახურავიდან წვიმის წყლის მოხვედრის ფაქტებს, რაც მნიშვნელოვნად აზიანებდა როგორც შენობას, ასევე მასში განთავსებულ ავეჯსა და ძვირადღირებულ სასწავლო-სამეცნიერო აღჭურვილობას. დამდგარი ზიანის დადგენის მიზნით, შეძენილი იქნა საექსპერტო მომსახურება (ლევან სამხარაულის სახელობის

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსგან). სწორედ ზემოაღნიშნული ინფრასტრუქტურული ღონისძიებების ნაწილი განპირობებულია აღნიშნული გარემოებით.

- 2023 წლის 24 დეკემბრის ღამით განვითარებული სტიქიური მოვლენის (ძლიერი ქარის) შედეგად მთლიანად დაზიანდა უნივერსიტეტის მე-2 კორპუსის სახურავი. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საფუძველზე ჩატარებულ ბაზრის კვლევაში გამარჯვებულ მიმწოდებელთან, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, 2023 წლის 29 დეკემბერს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №6, ღირებულებით - 421 764.71 ლარი. სამუშაოები ხელშეკრულების პირობების თანახმად, დასრულდა მიმდინარე წელს.
- ბსუ-ს სამედიცინო მიმართულების სასწავლო კორპუსის მშენებლობის მიზნით, 2023 წლის 25 ოქტომბერს გამოცხადებული იქნა 8`781`000.00 ლარის ღირებულების ელექტრონული ტენდერი (NAT230021366), რომელიც არ შედგა. ბაზრის კვლევისა და ელექტრონული ტენდერის შედეგების ანალიზით დადგინდა, რომ დამდგარი შედეგი მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო შესყიდვის ობიექტის დაბალი საორიენტაციო ფასით. ბსუ-ს ადმინისტრაციის მიერ პროექტის ავტორისაგან უკვე მიღებულია კორექტირებული სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ამ ეტაპზე მიმდინარეობს ელექტრონული ტენდერის წინა მოსამზადებელი პროცედურები (ინსპექტირების ანგარიშების შესყიდვა, საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენის მიზნით, ბაზრის კვლევა და სხვა). შესყიდვის მიზნით ახალი ელექტრონული ტენდერის გამოცხადება დაგეგმილა უახლოეს დროში.

მატერიალურ-ტექნიკური და სხვა სახის ღონისძიებები:

- უნივერსიტეტისათვის მნიშვნელოვანია <u>საბიბლიოთეკო რესურსის განვითარება,</u> რომელიც გულისხმობს წიგნების, ჟურნალ-გაზეთების და საბიბლიოთეკო პროგრამების (საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა) შესყიდვის დაფინანსებას. <u>საბიბლიოთეკო რესურსის</u> მიმართულებით ბსუ-ს მიერ 2023 წელს დახარჯული იქნა 239 635 ლარი, მათ შორის წიგნადი ფონდის სრულყოფის მიზნით გაწეული ხარჯი შეადგენს 216 802,20 ლარს;
- შეძენილი იქნა 400 956.00 ლარის ღირებულების <u>კომპიუტერული ტექნიკა,</u> მათ შორის 100 კომპლექტი მაგიდის კომპიუტერი (დესკტოპები) და 50 ცალი სტანდარტული ლეპტოპი, 30 ცალი პრინტერი და 1 ცალი ჭკვიანი დაფა;
- <u>ლაბორატორიული აღჭურვილობების</u> შესყიდვა-განახლებაზე დაიხარჯა 308 008.00 ლარი (განახლდა ფაკულტეტების, აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის და ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის ლაბორატორიები);
- <u>განახლდა ავეჯი,</u> რომლის ღირებულებამ შეადგინა 253 558.00 ლარი.

პროგრამული ბიუჯეტის ფარგლებში, შესაძლებელი გახდა ასევე, უზრუნველყოფილიყო უნივერსიტეტის შემდეგი მნიშვნელოვანი საჭიროებები:

- <u>ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის</u> სტუდენტთა საერთაშორისო სტაჟირების მხარდაჭერა, ,,უცხოენოვანი სამეცნიერო სახელმძღვანელო ლიტერატურის თარგმნა/ბეჭდვა“ საგრანტო პროექტის ფარგლებში საავტორო უფლების მოპოვების თანადაფინანსება;
- <u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის</u> ლაბორატორიებისათვის სხვადასხვა ხელსაწყოების, დანადგარების, რეაქტივების, სასწავლო მასალების და სამედიცინო მულაჟების შეძენა, სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული საველე და საწარმოო პრაქტიკის დაფინანსება;

- ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ,,იაპონია-ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების მე-12 საერთაშორისო ვორქშოფი გამოყენებითი ელექტრომაგნიტური ინჟინერია მაგნიტურ, ზეგამტარულ, მრავალფუნქციურ და ნანომასალებში" (JAPMED`12) ღონისძიების თანადაფინანსება, საგამომცემლო მომსახურების მხარდაჭერა, რაც გულისხმობს სასწავლო სახელმძღვანელოების გამოცემის დაფინანსებას, სასწავლო ლიტერატურის განახლება;
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ახალი სასწავლო სახელმძღვანელოს - ,,Q: Skills for Success“ შეძენა, საგამომცემლო მომსახურების მხარდაჭერა (სახელმძღვანელოების გამოცემის მიზნით), ამავე ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის დარგობრივი დეპარტამენტის ინიცირებით ელექტრონული საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალების საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ასახვის დაფინანსება, სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული საველე და საწარმოო პრაქტიკის დაფინანსება;
- ტექნოლოგიური ფაკულტეტის სასწავლო კორპუსისთვის კონდიციონერების შეძენა, საცდელი ნაკვეთისთვის სასუქების და შხამ ქიმიკატების, ასევე, სპეციალური დანიშნულების მოწყობილობების შეძენა;
- ორგანიზებულად წარიმართა ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტთა საერთაშორისო სასწავლო პრაქტიკა/სტაჟირება;
- აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტისთვის კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, თანამედროვე ტექნოლოგიების ლაბორატორიული აღჭურვილობის, ქიმიური და ლაბორატორიული რეაქტივების, მასალების, ასევე, სასუქისა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის შეძენა;
- ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტისთვის ლაბორატორიული აღჭურვილობის, ქიმიური და ლაბორატორიული რეაქტივების, მინერალური სასუქების და მცენარეთა დაცვის საშუალებების, სპეციალური დანიშნულების დანადგარების შეძენა, ექსპედიციების დაფინანსება;
- ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის ექსპედიციების დაფინანსება, მომზადებული შრომების კრებულის გამოცემის დაფინანსება, სამეცნიერო ლიტერატურის შეძენა;
- პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განხორციელდა მატერიალური და ტექნიკური მხარდაჭერა;
- ბსუ-ს სტუდენტთა სპორტული და შემოქმედებითი ჯგუფების ღონისძიებების, ასევე, საგანმანათლებლო და შემეცნებითი აქტივობების დაფინანსება;
- განხორციელდა კურსდამთავრებულთა გაცილების და პირველკურსელთა მიღების (დახვედრის) ღონისძიებებთან დაკავშირებული ყველა საჭიროებით უზრუნველყოფა;
- პერსონალის სამეცნიერო საქმიანობაში ხელშეწყობის, საერთაშორისო ცნობადობის გაზრდისა და მათი პროფესიული სრულყოფის ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა პერსონალის მონაწილეობის დაფინანსება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში;
- დაფინანსდა პერსონალის პროფესიული განვითარების ღონისძიებები (ყველა მოთხოვნა კვალიფიკაციის ამაღლების/ტრენინგების გავლის/კონფერენციებში მონაწილეობის შესახებ) როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში;

- ✓ **აღსანიშნავია 2023 წელს განხორციელებული სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერის/სოციალური პროგრამების მრავალფეროვნება:**

- 2023 წელს საქართველოსა და აჭარის ა.რ. მთავრობის მხარდაჭერით, ჯამში 1 134 730 ლარით, **სწავლის საფასური დაუფინანსდა** <u>სხვადასხვა სოციალური კატეგორიის</u> ბსუ-ს **1093 სტუდენტს**;
- საქართველოს <u>მთავრობის 2023 წლის 03 ოქტომბრის N378 დადგენილების</u> და ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 25 ოქტომბრის N07-01/51 გადაწყვეტილების შესაბამისად, 2023 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით სტატუსშეჩერებული და სწავლის საფასურის დავალიანების მქონე ბსუ-ს **63 სტუდენტი განთავისუფლდა სწავლის** საფასურის დავალიანების გადახდისაგან.

2023 წელს განხორციელებული სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერის შედეგები						
პროგრამის/პროექტის/აქტივობის დასახელება	**2022-23 სასწ.წ გაზაფხულის სემესტრი**		**2023-24 სასწ.წლ შემოდგომის სემესტრი**		**სულ 2023 წელს**	
	სტუდენტთა რაო-ბა	**დაფინანსების თანხა**	**სტუდენტთა რაო-ბა**	**დაფინანსების თანხა**	**სტუდენტთა რაო-ბა**	**დაფინანსების თანხა**
ბსუ-ს სოც. პროგრამა „შეღავათები სწავლის საფასურში"	35	20 000	25	15 000	**60**	**35 000**
სამხედრო მოსამსახურის ოჯახის წევრი - ბსუ-ს მიერ სწავლის საფასურში შეღავათის მინიჭების შესახებ (30 %)	13	4387.5	16	5 400	**29**	**9 787,5**
ბსუ-ს მიერ შშმ/სსმ პირების სწავლის საფასურისგან გათავისუფლება	2	2250	3	3 375	**5**	**5 625**
აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სოც. პროგრამა (დაფინანსება)	282	308 137.5	213	231 450	**495**	**539 587.5**
საქართველოს განათლების,მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სოციალური პროგრამა (გრანტი)	207	209 250	234	239 850	**441**	**449 100**
პრემიერის ინიციატივა/მთავრობის 2023 წლის 03 ოქტომბრ. N378 დადგ-ით	0	0	63	95 630.4	**63**	**95 630,4**
სულ	539	544 025	554	590 705,4	**1093**	**1 134 730,4**

2023 წელს ბსუ-ს მიერ რეაბილიტირებული/გარემონტებული სივრცეები





COFFE
ესპრესო – 2.00
ამერიკანო – 2.00
კაპუჩინო – 3.50
ღიცე – 4.50

BORJOMI
ესპრესო – 2.00
ამერიკანო – 2.00
კაპუჩინო – 3.50
ღიცე – 4.50

ბსუ-ს სტრუქტურული ერთეულების როლი
ბსუ-ს ინსტიტუციურ განვითარებაში

✓ იურიდიული დეპარტამენტი:

ბსუ-ში შემოსული კორესპონდენციის და უშუალოდ იურიდიულ დეპარტამენტში მომზადებული ან/და სტრუქტურული ერთეულებიდან წარმოდგენილი პროექტების დამუშავების/ რედაქტირების საფუძველზე მომზადებულია /რედაქტირებულია/ შეთანხმებულია ან/და ვიზირებულია იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მიერ:

2023 წელს გამოცემული ბსუ-ს რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სულ 3 578 ბრძანება; აკადემიური საბჭოს 147 დადგენილება და წარმომადგენლობითი საბჭოს 63 გადაწყვეტილება.

მათ შორის 2023 წელს მომზადდა მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტები (რეგულაციები):

- ცვლილებები ბსუ-ს წესდებაში;
- ბსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების წესი;
- ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;
- ბსუ-ში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესი;
- ერთიანი ეროვნული გამოცდების, საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების, მაგისტრანტობის კანდიდატების ბსუ-ში ჩარიცხვის წესი;
- ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის მსურველი პირის ენის ფლობის დადასტურების წესი;
- ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი;

  და სხვა სამართლებრივი აქტები/რეგულაციები;

იურიდიული დეპარტამენტის პერსონალის უშუალო ჩართულობით მომზადა:

- უნივერსიტეტის წერილები /გასული კორესპონდენცია- 1120 წერილი;
- ხელშეკრულებები/მემორანდუმები - 45;
- განახლდა ბსუ-ს სტუდენტთა გზამკვლევი 2023-2024 სასწავლო წლისათვის (სულ 18 თავარი);
- ბსუ-ს სამართლებრივი აქტების სისტემატიური კოდიფიცირება და ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსება/ჩანაცვლება;
- საკონსულტაციო საქმიანობა;
- <u>2024 წელს საქმისწარმოება გაგრძელდება</u> (წინასასამართლო/შეთანხმების /სასამართლო/სააღსრულებო წარმოების ეტაპებზე) სწავლის საფასურის დავალიანების მქონე <u>სულ 2 679 პირზე</u> (აქტიური სტუდენტი, კურსდამთავრებული, სტატუსშეწყვეტილი და სტატუსშეჩერებული სტუდენტები).

2023 წელს ბსუ-ს მიერ მოგებული მნიშვნელოვანი სასამართლო დავები:

- ბსუ-ს ყოფილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის - **ა. მითაიშვილის ადმინისტრაციული სარჩელი** სამუშაოზე აღდგენის/იძულებითი განაცდურის

(მიუღებელი ხელფასის) მიღების თაობაზე (1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება; 2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება);

- ბსუ-ს სარჩელი მოპასუხე კომპანიის **შპს „ინთერნეიშენალ სთუდენთ სელ ბიესიუ“** მიმართ ინდოელი სტუდენტების სწავლის საფასურის დავალიანების - 1 210 386 52 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის დაკისრების თაობაზე და კომპანიის სარჩელის ბსუ-ს მიმართ ბსუ-სათვის 8 412 500 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე (ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის დეკემბრის გადაწყვეტილება).

✓ სასწავლო პროცესის დეპარტამენტი

- **თავისუფალი არჩევითი კურსები https://portal.bsu.edu.ge/FreeCredits/**

თავისუფალი არჩევითი კურსების ჩამონათვალი სილაბუსების და სასწავლო სემესტრების მითითებით;

- **ელ. ჟურნალი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის**

lms.bsu.edu.ge მედიცინის ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის;
lms2.bsu.edu.ge მედიცინის ინგლისურენოვანი პროგრამის პროფესორ/მასწავლებელთათვის;

- **საგანმანათლებლო პროგრამების გადინების / დასრულების სტატისტიკა**

საგანმანათლებლო პროგრამებს დაემატა გადინების/დასრულების სტატისტიკური მონაცემები დამატებით უცხოენოვანი სტუდენტებისთვის.

- **სამეცნიერო საქმიანობის შეფასება portal.bsu.edu.ge/sa/**
- აკადემიური და მოწვეული პროფესორ/მასწავლებლის სამეცნიერო აქტივობების ასახვა;
- ნაშრომების დადასტურება შესაბამისი სამსახურების მიერ;
- შედეგების ავტომატური დათვლა საანგარიშო წლების მიხედვით;
- კონკურსისთვის ასახული ინფორმაციის დადასტურების შექმნა;
- **სტუდენტთა შიდა მობილობის მოდული https://portal.bsu.edu.ge/Internal-Mobility/**
- ელექტრონული რეგისტრაცია (მაქსიმუმ 3 პროგრამის მითითებით);
- მონაცემთა დადასტურება/თავსებადობი შემოწმება;
- შედეგების (გამარჯვებულთა) ავტომატური გამოვლენა ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღებული შედეგებისა და აკადემიური მოსწრების მიხედვით;
- შიდა, გარე მობილობა და აღდგენების ორგანიზება - 600 აპლიკაცია;
- პირველკურსელთა რეგისტრაცია;
- საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრების აკადემიური რეგისტრაცია;

✓ სამეცნიერო კვლევების სამსახური

- უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის ორგანიზება და ჩატარების და პროექტების განხორციელების/ცვლილებების ორგანიზაციული მხარდაჭერა და გამოსაცემი პროექტების მომზადება;
- ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსებისა და სტატიის გამოქვეყნებისათვის წახალისების თაობაზე პროცესის ორგანიზაციული მხარდაჭერა და გამოსაცემი პროექტების მომზადება;
- დამოუკიდებელი კვლევითი ერთეულებისა და სამეცნიერო პირების 20 წლის მონაცემთა ბაზაში 2022 წლის მონაცემების შეტანის ორგანიზება 2023 წელს;
- შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტების ინსტიტუციური მხარდაჭერა;
- სამეცნიერო პიკნიკის ორგანიზება;
- ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასების ორგანიზება;
- საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში წარსადგენი ანგარიშების მომზადება;
- დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელების, სამეცნიერო თემების დასახელებების დამტკიცების, ცვლილებების პროექტების მომზადება;
- საკონსულტაციო საქმიანობა.

✓ სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

- ERASMUS + საერთაშორისო მობილობა - 2023 წელს ისარგებლა 30 სტუდენტმა;
- ERASMUS + საერთაშორისო მობილობა - 2023 წელს ისარგებლა 37 პერსონალმა;
- ERASMUS + და სხვა გაცვლითი პროგრამით ბსუ-მ უმასპინძლა:

2 სტუდენტი ერაზმუს+ გაცვლითი პროგრამით;

3 სტუდენტი მემორანდუმის ფარგლებში;

6 სტუდენტი სტაჟირებით მემორანდუმის ფარგლებში;

- 28 აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალმა განახორციელა მობილობა ბსუ-ში 2023 წელს;
- აჭარის ა.რ განათლებისა, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინასებით განხორციელდა პროექტი „სწავლა საზღვარგარეთ“ - პროექტით ისარგებლა 12 სტუდენტმა;
- საერთაშორისო პრაქტიკა - 2023 წელს ისარგებლა 63 სტუდენტმა;
- გაფორმებული მემორანდუმები და ხელშეკრულებები;
- ეროვნული მნიშვნელობის ინსტიტუციები - 29;
- უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებები - 32;
- 2023 წელს ევროკომისიის მიერ დაფინანსდა 6 პროექტი;
- 2023 წელს დაფინანსდა ჟანმონეს 2 პროექტი;
- 2023 წელს ბსუ-მ გაიმარჯვა იუნესკოს კონკურსში;
- 2023 წელს უმასპინძლა 50-ზე მეტ ოფიციალურ სტუმარს.

✓ სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი

- სტუდენტური პროექტების კონკურსი - ორგანიზება და კონტროლი (ბიუჯეტი - 80 000 ლარი, 12 პროექტი);
- საქართველოს სტუდენტური ფესტივალი 2023 - სტუდენტთა ჩართულობის ორგანიზება;
- საახალწლო კონცერტის ორგანიზება;
- კურსდამთავრებულთა გაცილების ცერემონიალის ორგანიზება;
- პირველკურსელთა მიღების-დახვედრის წვეულების ორგანიზება;
- სტუდენტებისათვის საჯარო ლექციების ორგანიზება;
- სტუდენტური კონფერენციის ორგანიზება (მონაწილეთა რაოდენობა 300);
- კულტურული, სპორტული და შემოქმედებითი წრეების საქმიანობის მართვა, კონტროლი;
- საკონსულტაციო საქმიანობა.

✓ საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური

- აი-ტი პოლიტიკისა და განვითარების სტრატეგიის ფორმირება და გადატანა პრაქტიკაში (უშუალო ჩართულობით მომზადდა სატენდერო დოკუმენტი, რომლის შესყიდვაც განხორციელდება 2024 წელს);
- უნივერსიტეტის ვებგვერდის (www.bsu.edu.ge) ადმინისტრირება;
- უნივერსიტეტის სერვერების (ელ-ფოსტა, ვები, სტატისტიკა, კრიტიკული ინფორმაციის რეზერვირება DNS) გამართული ფუნქციონირება და უსაფრთხოება;

- უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებში/კორპუსებში, მათ შორის პროფესიული განათლების მართვისა უწყვეტი განათლების ცენტრში და დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებში კომპიუტერული ქსელების გამართული მუშაობა;
- უნივერსიტეტის სასწავლო, საფინანსო და სხვა მონაცემთა ბაზების ტექნიკური ადმინისტრირება;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვა;
- უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების აპარატული და პროგრამული უზრუნველყოფის მონიტორინგი და გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა.

✓ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური:

- უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობა;
- ბსუ-ს სიახლეების, მიღწევების და საქმიანობის შესახებ მედიასაშუალებების მხრიდან საინფორმაციო მხარდაჭერის მიღების ხელშეწყობა;
- საკომუნიკაციო საშუალებებით (ელ.ფოსტა/სოც.ქსელი) შემოსულ კითხვებზე პასუხის გაცემა ;
- უნივერსიტეტის საქმიანობის პოპულარიზაციია (მათ შორის ე.წ. ,,ღია კარის დღეები“);
- სახელმწიფო ორგანოებთან, საზოგადოებრივ, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან და მასმედიასთან უნივერსიტეტის საქმიანი ურთიერთობები;
- საახალწლო კონცერტის ორგანიზება;
- კურსდამთავრებულთა გაცილების ცერემონიალის ორგანიზება.

✓ საქმისწარმოების სამსახური (კანცელარია)

ბსუ-ს პერსონალის პირადი საქმეების დამუშავება:

- ადმინისტრაციული პერსონალის - 34 პირადი საქმე განახლებულია და გაციფრებულია 27;
- აკადემიური პერსონალის - 303 გაციფრებულია და ატვირთულია HR ელ.ფოსტის დრაივზე, მიმდინარეობს განახლება;
- სამეცნიერო პერსონალის - 72 გაციფრებულია და ატვირთულია HR ელ.ფოსტის დრაივზე, მიმდინარეობს განახლება;
- მოწვეული პერსონალის (მასწავლებელი/სპეციალისტი) - სულ 500-მდე, გაციფრულებულია ხელშეკრულებები და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, მიმდინარეობს პირადი საქმეების განახლება და დაგეგმილია გაციფრულება;
- დამხმარე (ფაკულტეტების) პირების – 65 განახლებულია;

შრომითი ხელშეკრულებები:

- გაფორმდა ვადიანი შრომითი ხელშეკრულება კონკურსის წესით შერჩეულ ბსუ-ს აკადემიურ პერსონალთან - 129;
- გაფორმდა ვადიანი შრომითი ხელშეკრულება კონკურსის წესით შერჩეულ ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალთან - 4;
- ბსუ-ს აკადემიური პერსონალის 2023-2024 სასწავლო წლიდან ბსუ-სთან აფილირებისა და აკადემიური დატვირთვის კატეგორიის განსაზღვრისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ 2023 წლის 14 სექტემბრის N 01-02/171 და N 01-02/172 ბრძანებების შესაბამისად **გაფორმდა 303 აფილირების განაცხადი,** გაციფრულებულია;

- გაფორმდა ვადიანი შრომითი ხელშეკრულება მოწვეულ პროფესიულ მასწავლებელთა პერსონალთან - 150;
- გაფორმდა ვადიანი შრომითი ხელშეკრულება სხვა საგანმანათლებლო პროგრამების მოწვეულ პერსონალთან - 539;
- გაფორმდა ვადიანი შრომითი ხელშეკრულება/შეთანხმება დამხმარე პერსონალთან (შტატგარეშე 83) - 153 + 215 ხელშეკრულება/შეთანხმება;
- სხვადასხვა საგრანტო ხელშეკრულება/შეთანხმება პერსონალთან, სულ - 400 ერთეული;
- მომზადდა და გამოიცა რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებები, სულ - **3549 ბრძანება/ცვლილებები ბრძანებაში** (აქედან 1 500 დანიშვნის, გათავისუფლების, გადაყვანის, შვებულების, მივლინების, შრომითი ურთიერთობის შეჩერებისა და აღდგენის, საშტატო განრიგში ცვლილებების და სხვ);
- აიტვირთა HR ელ.ფოსტის დრაივზე 2019, 2020. 2021, 2022, 2023 წლის კონკურსანტთა საკონკურსო მასალები.
- **დოკუმენტბრუნვა** 2023 წელს (იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით) - ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურში (კანცელარიაში) დარეგისტრირდა სულ - 42 0708 კორესპონდენცია (განცხადება, სამსახურებრივი ბარათი, წერილი, ცნობა და სხვ.);
- დამუშავდა ბსუ-ში 2018-2020 წლებში შექმნილი დოკუმენტები, საქმეთა ნართი ნომენკლატურის შესაბამისად, სულ - 2 354 ერთეული;

✓ ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკა:

- ბსუ-ს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი სამეცნიერო პერიოდულ გამოცემასთან ერთად შეადგენს 362 893 ერთეულს. 2023 წელს შეივსო 3982 რაოდენობის 2118 დასახელების წიგნით;
- ფაკულტეტების მოთხოვნის შესაბამისად, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდიდან 2023 წელს გაციფრულებულია 500 წიგნი, რომლებიც განთავსებულია ბიბლიოთეკის ინტერნეტ გვერდზე (მისამართი - 10.10.48.48). ამჟამად უკვე ხელმისაწვდომია 7992 ელ. ვერსია;
- ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრში შეძენილი იქნა 89 025 ლარის ინგლისური ენის სახელმძღვანელოები English Book Education სტუდენტთათვის;
- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის ენის დაუფლების სხვადასხვა სასწავლო კურსების განხორციელების მიზნით შეძენილია 54 828 ლარის სახელმძღვანელო.

✓ საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი:

უნივერსიტეტის საბიუჯეტო პროცესის რეგულირება, ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების და სახელმწიფო შესყიდვების პროცესის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის მთავარი ფუნქციაა. განსაკუთრებით აღსანიშნავია საანგარიშო პერიოდში განხორციელებული შემდეგი საქმიანობა:

- 2023 წელს გამოცხადდა 88 ელექტრონული ტენდერი;
- სახელმწიფო შესყიდვის ფარგლებში დაიდო სულ 332 ხელშეკრულება, მათ შორის: გამარტივებული შესყიდვის ფარგლებში - 217 ხელშეკრულება, კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში - 44 ხელშეკრულება და ელ.ტენდერის ფარგლებში - 71 ხელშეკრულება;

- სახელმწიფო საკუთრებაში და ბსუ-ს სარგებლობაში არსებული სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით, გამოცხადდა <u>სამი ელექტრონული აუქციონი:</u> ტექნოლოგიური ფაკულტეტის სასწავლო კორპუსის სახურავზე არსებული ფართის, სტუდენტური კაფეს მოწყობის მიზნით ჯიხურის და ავტომატური სავაჭრო აპარატების დასადგმელად ფართების იჯარის შესახებ (მათ შორის ავტომატური სავაჭრო აპარატების დასადგმელად ფართის იჯარის გაცემის შესახებ აუქციონი დასრულდა უშედეგოდ);
- აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურში, ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების პროცესის წარმოებისას ხაზინის ერთიან პროგრამაში დამუშავდა: 896 ვალდებულება, 18180 საგადახადო მოთხოვნა, 2210 პირველადი დოკუმენტი, 1496 ინვოისი, 616 სახელფასო უწყისი, 60 არასახელფასო უწყისი, 292 თანხის უკან დაბრუნება და 12690 ჩარიცხული დავალება, ხოლო საბუღალტრო პროგრამა ორისში დამუშავებულია - 66 521 გატარება.

ბსუ-ს 2023 წლის ბიუჯეტის შესრულება

2023 წლის ბიუჯეტის ფარგლებში დაგეგმილი შემოსავლები, **წინა წლის ნაშთის გათვალისწინებით**, შეადგენდა - 32 932 151 ლარს, **ფაქტიურად მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა - 29 849 023 ლარი.** ამავე ბიუჯეტის ფარგლებში ჯამურად დაგეგმილი იყო - 32 932 151 ლარის ხარჯვა, **საკასო ხარჯმა კი შეადგინა - 27 180 184.58 ლარი,** შესაბამისად, გეგმის შესრულების მაჩვენებელი შეადგენს - **82,53 %-ს.**

2023 წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია თანდართული ცხრილების **(ცხრილი №1, №2)** სახით. 2023 წლის საკასო ხარჯები მოცემულია ბიუჯეტის პროგრამების და ქვეპროგრამების ჭრილში, ხოლო ღონისძიებების/ხარჯების ფარგლებში გაწეული საკასო ხარჯები დეტალურად ასახულია ,,ბსუ-ს 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში“.

ცხრილი №1

ბსუ-ს 2023 წლის ბიუჯეტის შემოსავლები

ბსუ-ს შემოსავლები 2023 წელი (ლარი)		29 849 023.00
№	მათ შორის:	
1	უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასური	23 293 549
2	მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამებზე/კურსებზე სწავლის საფასური	152 292
3	<u>სხვა შემოსავლები:</u> ლაბორატორიული კვლევები, საერთო საცხოვრებლის ქირა, ქსეროქსით მომსახურება და სხვა	787 720
4	ბსუ-ს ანაბრის სარგებელი (საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებზე პროცენტის დარიცხვა)	1 558 620
5	შემოსავალი მოკლევადიანი და გრძელვადიანი იჯარებიდან	26 440
6	შემოსავალი ხელშეკრულებების ფარგლებში დარიცხული პირგასამტეხლოდან	29 357
7	შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები	994 489
8	უცხოური მიზნობრივი გრანტები	1 015 481
9	აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო დაფინანსება	1 353 013
10	საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს დაფინანსება	41 062
11	ფეხბურთის განვითარების ფონდის დაფინანსება	50 400
12	სახელმწიფო სტიპენდია	546 600

ცხრილი N2

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი და მისი წლიური შესრულება (საკასო ხარჯები)

შემოსავლები წინა წლის ნაშთის გათვალისწინებით	32 932 151	საკასო ხარჯი სულ	27 180 184,58
ხარჯები	32 932 151	საკასო შესრულების პროცენტული მაჩვენებელი (%)	82,53

მათ შორის:

პროგრამის დასახელება	თანხა დაფინანსების წყაროს მიხედვით - გეგმა				სულ თანხა	საკასო ხარჯი - 01.01.2023-31.12.2023				სულ თანხა
ბსუ-ს ფაკულტეტების, კვლევითი ინსტიტუტებისა და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მხარდაჭერა	საკუთარი შემოსავლები	აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	გრანტები		საკუთარი შემოსავლები	აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	გრანტები	
ქვეპროგრამა - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი	1 477 559	30 920	0	0	1 508 479	1 187 024	28 041	0	0	1 215 064,78
ქვეპროგრამა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი	4 194 890	25 750	0	0	4 220 640	4 163 623	0	0	0	4 163 622,85
ქვეპროგრამა - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	3 006 325	25 000	0	0	3 031 325	2 772 821	24 985	0	0	2 797 805,48
ქვეპროგრამა - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი	2 116 500	62 710	20 000	4 400	2 203 610	1 864 711	58 853	18 050	4 400	1 946 013,75
ქვეპროგრამა - იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	1 392 001	20 000	0	0	1 412 001	1 262 109	19 769	0	0	1 281 878,01
ქვეპროგრამა - ტურიზმის ფაკულტეტი	812 020	90 000	0	0	902 020	562 585	83 720	0	0	646 305,22

ქვეპროგრამა - ტექნოლოგიური ფაკულტეტი	1 477 537	20 000	0	0	1 497 537	1 246 107	0	0	0	1 246 107,13
ქვეპროგრამა - ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტი	466 724	321 000	0	0	787 724	369 214	321 000	0	0	690 213,97
ქვეპროგრამა - ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი	388 497	367 100	0	0	755 597	353 734	367 080	0	0	720 814,34
ქვეპროგრამა - ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი	244 986	431 220	20 000	0	696 206	231 511	412 589	17 642	0	661 741,59
ქვეპროგრამა - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი	567 495	0	52 935	0	620 430	420 880	0	17 420	0	438 299,87
ქვეპროგრამა - შიდა საუნივერსიტეტო მიზნობრივი დაფინანსება	269 350	0	0	0	269 350	192 093	0	0	0	192 093,27
სულ	16 413 884	1 393 700	92 935	4 400	17 904 919	14 626 412,73	1 316 035,73	53 111,80	4 400,00	15 999 960,26
პროგრამის დასახელება	**თანხა დაფინანსების წყაროს მიხედვით - გეგმა**				**სულ თანხა**	**საკასო ხარჯი - 01.01.2023-31.12.2023**				**სულ თანხა**
უნივერსიტეტის მართვა და რეგულირება	**საკუთარი შემოსავლები**	**აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტი**	**სახელმწიფო ბიუჯეტი**	**გრანტები**		**საკუთარი შემოსავლები**	**აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტი**	**სახელმწიფო ბიუჯეტი**	**გრანტები**	
ქვეპროგრამა - უნივერსიტეტის საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა	7 248 605	100 000	15 000	0	7 363 605	6 246 673	19 290	15 000	0	6 280 963,09
ქვეპროგრამა - ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მხარდაჭერა	539 150	0	0	2 777 587	3 316 737	129 691	0	0	1 789 068	1 918 759,49
სულ	7 787 755	100 000	15 000	2 777 587	10 680 342	6 376 365	19 290	15 000	1 789 068	8 199 722,58
პროგრამის დასახელება	**თანხა დაფინანსების წყაროს მიხედვით - გეგმა**				**სულ თანხა**	**საკასო ხარჯი - 01.01.2023-31.12.2023**				**სულ თანხა**

უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურული განვითარება	საკუთარი შემოსავლები	აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	გრანტები		საკუთარი შემოსავლები	აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	გრანტები	
ქვეპროგრამა - IT ტექნოლოგიების განვითარება	340 000	0	0	0	340 000	299455,80	0,00	0,00	0,00	299455,80
ქვეპროგრამა - მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და მიმდინარე/კაპიტალური სარემონტო სამუშაოების/მშენებლობების უზრუნველყოფა	2 437 449	584 040	0	0	3 021 489	1804443,88	0,00	0,00	0,00	1804443,88
სულ	2 777 449	584 040	0	0	3 361 489	2103899,68	0	0	0	2103899,68

პროგრამის დასახელება	თანხა დაფინანსების წყაროს მიხედვით - გეგმა				სულ თანხა	საკასო ხარჯი - 01.01.2023-31.12.2023				სულ თანხა
ბსუ-ს სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერა	საკუთარი შემოსავლები	აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	გრანტები		საკუთარი შემოსავლები	აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	გრანტები	
ქვეპროგრამა - საგანმანათლებლო და სამეცნიერო აქტივობების მხარდაჭერა	146 000	0	617 200	0	763 200	104111,10	0,00	604759,94	0,00	708871,04
ქვეპროგრამა - კულტურული და სპორტული აქტივობების მხარდაჭერა	171 801	0	0	50 400	222 201	121788,69	0,00	0,00	45942,33	167731,02
სულ	317 801	0	617 200	50 400	985 401	225899,79	0	604759,94	45942,33	876602,06

	საკუთარი შემოსავლები	აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	გრანტები	სულ - გეგმა	საკუთარი შემოსავლები	აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	გრანტები	სულ - საკასო შესრულება
სულ პროგრამების ჯამური ხარჯი გეგმა/საკასო	27 296 889	2 077 740	725 135	2 832 387	32 932 151	23 332 576,77	1 335 325,73	672 871,74	1839410,34	27 180 184,58

*** შენიშვნა:** ინფორმაცია საკასო ხარჯების შესახებ მოცემულია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (სახაზინო ამონაწერი - 01/01/2023 - 01/01/2024 პერიოდში).